გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 32

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 66.45.32.278) 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 8 ნოემბერს შემოსულია განცხადება, რომელშიც 5 წლის ვადით, კომერციული დანიშნულებით - დრაივის განთავსების მიზნით, იჯარის ფორმით, მოთხოვნილია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, კეცხოველის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 66.45.32.278 (დაზუსტებული ფართობი: 527 კვ.მ) უძრავი ქონებიდან, ნაწილი ფართი 25 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 20 თებერვლის N019-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.45.32.278 მიწის ნაკვეთიდან (დაზუსტებული ფართობით - 527 კვ.მ) – 25 კვ.მ - ს საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 5 000 (ხუთი ათასი) ლარით (მისამართი: ქ. გორი, კეცხოველის ქუჩის მიმდებარედ).

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.32.278 მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ (დანართის მიხედვით) უძრავი ქონების, აუქციონის ფორმით,

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, კეცხოველის ქუჩის მიმდებარედ) ს/კ 66.45.32.278 მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ. (დანართის მიხედვით) უძრავი ქონება, გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, კომერციული საქმიანობის მიზნით, კერძოდ, მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად.
2.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.45.32.278 მიწის ნაკვეთიდან (დაზუსტებული ფართობით - 527 კვ.მ) – 25 კვ.მ - ს საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.
3.საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 840 (რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.
4.აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს კომერციული დანიშნულებით, მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად, რომლის ზომები და იერსახე უნდა შეთანხმდეს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებასთან. მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში. ასევე, მსუბუქი კონსტრუქციის განთავსებით ხელი არ შეეშალოს საგზაო მოძრაობას.
5.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.
6.ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 2 (ორი) წლის ვადით.
7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

133ბ
158
66.45.32.429
66.00.658
66.00.565
66.00.638
66.00.022
66.45.32.027
160
162
66.45.32.157
58
52
54
66.45.32.100
164
66.45.32.346
66.45.32.063
66.00.790
37
NAPR